ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 42

ქ. გურჯაანი **მაისი, 2023 წელი**

ერთის მხრივ, **ააიპ გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი, ს/კ 227767841, მისი დირექტორის, ზურაბ ხუროშვილის** სახით(შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“) და მეორეს მხრივ, **შპს ედ ქოლორი, ს/კ 427726008** (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 **ბეჭდვითი მომსახურების შესყიდვა**

2.2 CPV- 79800000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **1000/ერთიათასი/ ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს მიმწოდებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია: ა) საქონლის მიღების დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება; ბ) საქონლის მიწოდებამდე გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;

4.2 შემსყიდველი ვალდებულია: ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:ა) მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია: ა) საქონლის მიწოდება განახორციელოს, სრული მოცულობით იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 8.2 პუნქტში.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, საქონელის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;
6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლსა და ზედამხედველობას განახორციელებს გურჯაანის სპორტული გაერთიანების ტექნიკური მენეჯერი .

7. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს და მიღება-ჩაბარების აქტს;

8. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

8.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ **მისამართზე: გურჯაანი, კულტურის ცენტრი, თამარ მეფის ქ.16**
8.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2023 წლის 31 დეკემბრამდე**

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახალშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრლებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
10.5. ხელშეკრულების 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;
10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლლდება ნაკისრი ვლდებულებისაგან;
11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან და მოქმედებს **2023 წლის 31 დეკემბრამდე**

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი: **ააიპ გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი**
დირექტორი ზურაბ ხუროშვილი

GURJAANI MUNICIPAL CULTURAL CENTER
Digitally signed by GURJAANI MUNICIPAL CULTURAL CENTER
Date: 2023.05.17 15:47:09 +04'00'

მიმწოდებელი: **შპს ედ ქოლორი**

ს/კ 427726008

ანგ: GE20BG0000000525820669

Ucha Kachlishvili 13001000119
Digitally signed by Ucha Kachlishvili
Date: 2023.05.17 14:46:22